31 ოქტომბერი

# 20

1930

სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი



# პიონერი

მუშათა საქმისათვის: იყავ მზად!

# პიონერი

პიონერების და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი.

საქართველოს გ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი — ბავშვთათვის.

31 ოქტომბერი 1930

№ 20

წელიწადი მე-5

რედაქციის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 22, სახელგამი, საბავშო სექცია.




პიონერთა მე-2 შეკრების ემბლემა



ტფ. სკოლა-საკრებულოს პიონერ-კოლექტივი „კოჯორში“

## შინაარსი


— **გ. ნ.** ოქტომბრის რევოლიუციის 13 წლის თავი.
— **ნე-ი.** მოვსპოთ ჩამორჩენილობა.
— **ელიზბარი.** კომკავშირელის მოგონება.
— სოციალისტური აღმშენებლობა.
— **ნ. კრუპსკაია.** რა არის პოლიტექნიზაცია.
— **სეზმან.** ქარხანაში.
— **ვერიკო ბუაჩიძე.** ყოფა - ცხოვრების საკითხები.
— **ი. ს-ლი.** დავძრათ ბავშთა მასები.
— რა ვიკითხოთ?




სკოლა-საკრებულოს მოსწავლენი სადილზე

329.15 მ (05)
ვ-47.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოქტომბრის რევოლუციის 13 წლისთავი

უკვე შესრულდა ცამეტი წელიწადი მას შემდეგ, რაც დაემხო კერენსკის დროებითი მთავრობა და ხელისუფლება აჯანყებული მშრომელი მასების ხელში გადავიდა. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ვერ დააკმაყოფილა მასების მოთხოვნილებები, ამ პირველ რევოლიუციას შედეგად მოჰყვა ლიბერალური ბურჟუაზიის გაბატონება, რომლის ინტერესებსაც ემსახურებოდა კერენსკის მთავრობა.

ამრიგად, მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ თებერვალში ვერ მიაღწია სასურველ შედეგებს, დროებითმა მთავრობამ ვერ შესძლო ომის შეწყვეტა, პურის და თავისუფლების მოპოვება მასებისათვის. თებერვლის შემდეგ მშრომელი მასები დარწმუნდნენ დროებითი მთავრობის გამცემლობაში, და განმტკიცდა თანაგრძნობა ბოლშევიკური პარტიის მიმართ, რომელიც უკვე გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდა მენშევიკურ-კადეტური მთავრობის დასამხობად. დროებითმა მთავრობამ ვერ შესძლო ომით გამოწვეული ტკივილების დაყუჩება, მან, პირიქით, გააუარესა მუშათა და გლეხთა მდგომარეობა. ომი ისევ გრძელდებოდა, ფრონტებზე სიმშილი და სიშიშვლე იყო გაბატონებული. ასეთ პირობებში შეუდგა ლენინური ბოლშევიკური პარტია მუშაობას ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად. ეს სამზადისი გამოიხატა აპრილში მოწვეული პარტკონფერენციის და აგვისტოს ყრილობის მთელ რიგ გადაწყვეტილებებში. პარტიის მეექვსე ყრილობამ (1917 წლის 25 ივლისს- 3აგვისტოს) თავის მთავარ ამოცანად დაისახა ,,ძალთა ორგანიზაცია და მომზადება; ესერულ - მენშევიკურ - კადეტური მთავრობის მეთაურობით მოქმედი კერენსკის კონტრრევოლიუციონურის ბურჟუაზიის დიქტატურის დამხობა"; ასეთსავე ამოცანებს უსახავდა პარტიას მისი ბელადი ლენინი. რომელმაც ცნობილ აპრილის თეზისებში ჩამოაყალიბა მთელი უახლესი დროის სამოქმედო გეგმა. ამ ხანებში ლოზუნგი იყო იმპერიალისტური ომის საჩქაროდ შეწყვეტა და ძალაუფლების ხელში აღება, საბჭოთა რესპუბლიკის დამყარება.

მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა სავსებით დარწმუნდა, რომ ომის შეწყვეტა, ზავის ჩამოგდება, მიწების და ქარხანა-ფაბრიკების მესაკუთრეებისაგან ჩამორთმევა არ შეუძლია დროებით მთავრობას.

25 ოქტომბერს დაიწყო შეტევა ძველი ქვეყნის წინაალმდეგ. რევოლუციონურმა ჯარმა დაიკავა პეტროგრადის (ახლანდელი ლენინგრადი) ყველა მნიშვნელოვანი ადგილი და იმავე დღეს შესდგა საბჭოთა მეორე ყრილობა, რომელმაც გამოსცა დეკრეტი მიწისა და ზავის შესახებ.

აჯანყება მთელ რუსეთს მოედო, ინგრეოდა ძველი ქვეყანა, ბურჟუაზია შეშინებული გარბოდა დასამალავად, ქუჩებში წითელი დროშები ფრიალებდა. გლეხობისათვის მიწის გადაცემის საკითხმა აამოძრავა მილიონიანი მასები რუსეთის მშრომელი გლეხობისა, რომელმაც თავისუფლად ამოისუნთქა. მთელი ძალაუფლება გადაეცა საბჭოებს. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ოქტომბრის რევოლიუციის ბელადი ამხ. ლენინი აირჩიეს.

ამის შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ მშრომელი მასების სასარგებლოდ გადასწყვიტა ყოველგვარი საკითხები, მოიგერია ბურჟუაზიის შეტევის ცდები, რომელსაც დაკარგული ხელისუფლების დაბრუნება ჰქონდა მიზნად დასახული. თეთრგვარდიელ გენერლებთან ბრძოლაში პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. შეიქმნა წითელი არმია, რომელმაც სასტიკად გაანადგურა კონტრრევოლუციონური ელემენტების დარაზმული თარეში.

პოლიტიკურად განმტკიცების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ მთავარი ყურადღება სამეურნეო პოლიტიკის საკითხებზე მიაპყრო. პარტიის მეათე ყრილობამ შემოიღო ლონისძიება, ფეხზე წამოაყენა მსოფლიო და სამოქალაქო ომების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობა. აღდგენითი პერიოდის დასრულების შემდეგ დაიწყო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს სოციალიზმის მშენებლობის განმტკიცება.

დღეს, ოქტომბრის რევოლუციის 13 წლის თავზე, ჩვენ მრავალ გამარჯვებას მივაღწიეთ. ეს გამარჯვებები ეხება როგორც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, ისე მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის საკითხებს. კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ახალ საფეხურზე დაისვა კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საკითხი. ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის საქმე წინ მიიწევს აჩქარებული ტემპით. გაშლილი



მელითონე დამკვრელი მუშები

სოციალისტური შეტევა, მასების ენტუზიაზმი, დამკვრელი ბრიგადები, სოციალისტური შეჯიბრება ყოველივე ეს მასების დიადი შემოქმედებითი მუშაობის საუკეთესო თავდებია.

ოქტომბრის რევოლუციის 13 წლის თავს ჩვენ ახალი სამეურნეო მიღწევებითა და ამოცანებით ვხვდებით. უკვე დასრულდა ხუთწლედის მეორე წელი. პარტიამ ორ ფრონტზე ბრძოლის გზით გადამწყვეტ წარმატებას მიაღწია.

როგორ უნდა შევხვდეთ ოქტომბრის რევოლუციის 13 წლის თავს? უნდა გადავსინჯოთ ჩვენი მიღწევები და დავსახოთ მომავალი პერსპექტივები. 13 წლის თავი უნდა გადაიქცეს სოციალისტური მშენებლობის მიღწევების გენერალურ დათვალიერების დღეთ. პარტიის, კომკავშირისა და მისი დამხმარე პიონერორგანიზაციის თაოსნობით გაძლიერებული ბრძოლა ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნისათვის საბოლოო გამარჯვებამდე უნდა მივიყვანოთ.

ყოველი პიონერი უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციის 13 წლის თავს.

ვ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოისპოთ ჩამორჩენილობა



ლენრაიონის პიონერები ორთქლმავალს სწმენდენ

3 სექტემბერს ყველა დიდი ყურადღებით კითხულობდა გაზეთებს, სადაც დაბეჭდილი იყო ს.კ.პ. (ბ) ც.კ. მნიშვნელოვანი მიმართვა სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულებისა და ხუთწლიანი გეგმის მესამე წლის შესახებ.

აღმშენებლობაში ჩაბმულ მუშათა ზოგიერთ რიგებს ჩამორჩენილობა ეტყობა, მუშაობა მოდუნებულია; წლის ბოლომდე კი ცოტა ხანი დარჩა: წინ გველის ხუთწლიანი გეგმის მესამე წელი თავისი გიგანტური პროგრამით. ეს წელი იქნება ყველაზე უფრო მძიმე და პასუხსაგები სოციალისტურ მშენებლობაში.

მარტო პროდუქციის ზრდა რომ ავიღოთ, ის ომამდე არსებულ მთელ სამრეწველო წარმოებას გაუთანაბრდება. 7 ნახევ. მილიონა ტონა თუჯი, 74 ნახევ. მილიონი ტონა ნახშირი, 2 ნახევ. მილიარდი მანეთის მანქანები, — აი მთავარი ციფრები 1930-31 წლის საწარმოო გეგმისა. მიწის მეურნეთა ნახევარი ჩაებმის კოლმეურნეობაში.

დიდია აგრეთვე „ზერნოტრესტის" და საქონლის მომშენებელ საბჭოთა მეურნეობათა მშენებლობის პროგრამა. მძიმე ინდუსტრიის განვითარება და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია დიდად შეუწყობს ხელს მსუბუქი ინდუსტრიის განვითარებას ხუთწლედის მესამე წელს.

ხუთწლიანი გეგმის მესამე წლის გიგანტური საწარმოო პროგრამა მიზნად ისახავს ამ წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებას.

ხუთწლედის მეორე წელი სოციალისტური ინდუსტრიის უდიდეს მიღწევათა წელია.

ათი თვის განმავლობაში მსხვილი სოციალისტური მრეწველობის პროდუქცია 27 პროც. გაიზარდა და ამით ნათელჰყო ზრდის სწრაფი ტემპი.

მძიმე ინდუსტრია, რომელიც სოციალიზმის ქვაკუთხედია, ამავე ხნის განმავლობაში 39,5 პროცენტით გაიზარდა. კაპიტალურ მრეწველობას ათი თვის განმავლობაში 2,4—2,5 მილიარდი მანეთი დასჭირდა.

მაგრამ ასეთ დიდ მიღწევებთან უნდა ვაღიაროთ აგრეთვე ჩვენი ჩამორჩენილობა მუშაობაში. ათი თვის განმავლობაში მრეწველობის პროდუქციის ზრდა 27 პროც. ნაცვლად 32 პროც. ნათლად გვიჩვენებს, რომ გეგმით დასახული საქმე ვერ განხორციელდა და მუშაობა ჩამორჩა.

კაპიტალური მშენებლობის გეგმა პირველ 3 კვარტალის მანძილზე 50 პროცენტითაც არ არის შესრულებული. უპირველეს ყოვლისა, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სოცშეჯიბრებას და დამკვრელობას, ხელი უნდა შეეწყოს მუშათა ინიციატივას და შემხვედრი სამრეწველო-საფინანსო გეგმის გამომუშავებას. ც. კ. სავსებით ხელს უწყობს პროფკავშირებს სექტემბერში შემხვედრი სამრეწველო საფინანსო გეგმის გამოსამუშავებლად კამპანიის ჩატარებაში, ხელს უწყობს აგრეთვე „სრულიად დამკვრელის საკავშირო დღის" მოწყობას 1 ოქტომბერს.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს მომარაგების ხელშემშლელ პირობებს, რომ ბოლშევიკურად მოგვარდეს ეს საკითხი.

მიმდინარე წლის საწარმოო პროგრამა და ხუთწლიანი გეგმის მესამე წლის სამეურნეო გეგმა არის პრაქტიკული პროგრამა სოციალისტური მშენებლობისა, ის არის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ყველა ფრონტზე შეტევა.

სოციალისტური მშენებლობა ძლევამოსილად მიიწევს წინ და სასტიკად სპობს კლასიური მტრის ყოველგვარ წინააღმდეგობას (კულაკების, კონტრრევოლიუციონერების, მავნებლების და სხ.)

სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულება დამკვრელობით მუშაობას მოითხოვს. ამავე დროს დამკვრელობით მუშაობას მოითხოვს აგრეთვე ხუთწლიანი გეგმის მესამე წლის პროგრამა. პარტიისა და მუშათა კლასის მთელი ძალ-ღონე სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებას უნდა მოხმარდეს, უზრუნველყოფილ უნდა იყოს ხუთწლედის მესამე წლის პროგრამა.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მიმართვის შესასრულებლად კომკავშირელთა ც. კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვან მომენტში დამკვრელობით მუშაობის, შრომითი დისციპლინისა და რევოლუციონური გმირობის მაგალითს უნდა იძლეოდეს.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. დირექტივების წარმატებით შესრულება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც გადამჭრელ ბრძოლას გამოუცხადებთ ოპორტუნისტებს, მეტადრე მემარჯვენეებს, რომელნიც ცდილობენ შეასუსტონ მუშათა კლასის სიძლიერე და ძირს უთხრიან პროლეტარიატის ბრძოლას კაპიტალისტურ ელემენტებთან.

ბრძოლა საწარმოო-საფინანსო გეგმის შესასრულებლად ცხადჰყოფს თითოეული კომკავშირელისა და თითოეული ორგანიზაციის ერთგულებას თავისი კლასისა და პარტიისადმი, და ვინც სათანადო ზომებს არ მიიღებს ამ გეგმის განსახორციელებლად, იგი იქნება სოციალისტური მშენებლობის ფრონტის დეზერტირი.

კომკავშირელთა ც. კ. მთელ რიგ დავალებებს აკისრებს კომკავშირელთა ორგანიზაციებს.

ამ დავალებათა შორის არის აგრეთვე დავალება პიონერთადმი. მათ უნდა მოაწყონ პიონერებისა და მშრომელთა ბავშვების მასიური გამოსვლა წარმოებებში და მუშათა მოსახლეობაში, რომ გააცნონ მშრომელ მოსახლეობას სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესასრულებლად ბრძოლის შედეგები.

დაუყონებლივ მივეშველოთ პარტიას!

ნე-ი.



ბაქო-კომკავშირელი ბრიგადირები

მთლიანად კომკავშირელთა მობილიზაცია მოახდინა. ლენინური კომკავშირი, რომელმაც არა ერთხელ დაამტკიცა თავისი რევოლიუციონური ერთგულება პარტიისა და მუშათა კლასისადმი, ამ ფრიად მნიშვნელო-

# კომკავშირელის მოგონება

ჩვენ შევხაროდით ახალ განთიადს,
ოქტომბრის ცეცხლმა რომ გაანათა,
ვხედავდით, როგორ ახშობდა წყვდიადს
გამარჯვებული მხნე ლურჯხალათა...
ვგრძნობდით მამების მშფოთვარე წყურვილს,
როცა ანგრევდენ სასახლის კერას...
მაშინ ბავშების ნატვრას და სურვილს
ვერ მიჰყვებოდა ეს გულის ძგერა,—
და შევცქეროდით ულმობელ ბრძოლას,
ორ ქვეყნის შორის რომ გაიმართა,
გვალხენდა შორი ხმაური, სროლა
და დროშა, წითლად რომ აიმართა...
მაშინ იმედით გვიცქერდენ ბავშებს,
როგორც მომავალ თაობის წყებას,
დღეს კი მათ გრძნობებს უზომოდ ავსებს
ჩვენი შრომაში თავდავიწყება.
თვალდათვალ ვხედავთ, როგორ შენდება
ახალი ქვეყნის ბჭე და სვეტები,
სადაც ნადირიც არ გაივლიდა,—
იქ ატრიალებს ბორბალს ღვედები...
და ცისაკენ კი, როგორც ტყეები,
წამოიზარდა შავი მილები,
მაუწყებელი შრომის დღეების,
კვამლის ღრუბლებში ამართულები.
მონაწილეა ჩვენი მარჯვენაც,
ჩვენც ვეზიდებით საშენ აგურებს,
არა გვჩვევია უკან დარჩენა,—
ოქტომბრის ტემპი წინ მიგვაშურებს.
ვიცით, დამკვრელთა თავგამეტება
შენების გზაზე თუ რა დიდია,
ქალაქს მანქანა როგორ ედება,
ან ტრაქტორები როგორ მიდიან...
და სადაც დაჰკრავს მომწოდებელ ხმად
უფროსი ძმების სიტყვა მეხივით,—
იქ გამოჩნდება ულეველ რაზმად
კომკავშირელთა მძლე მთაგრეხილი.
დღეს კი ოქტომბრის მკვეთრი მიზნები
ჩვენს შეგნებაში ლაღობს, ბრწყინდება,
ვიბრძვით და ვშრომობთ, ვიდრე მსოფლიოს
ჩვენი ცეცხლი არ წაეკიდება...

ელიზბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი წლის განმავლობაში
ცდილობდა ადამიანი ერთი ძნელი ამოცანის გადაწყვეტას:



ახლა ეს ამოცანა გადაწყვეტილია.

მდინარეებზე დაიწყეს წყლის ელსადგურის აგება.

მდინარეებზე საგუბრებს აკეთებენ. სწრაფად მიექანება წყალი მანქანებში, ამოძრავებს მათ.

მანქანები იძლევა ელექტროდენს.

## შეიძლება თუ არა მდინარეების ძალის გამოყენება-დამორჩილება?

ეს რომ შეიძლებოდეს, მდინარეები ვაიძულოთ იმუშაონ ადამიანისათვის, — ძალიან დიდ სარგებლობას მოუტანდა ადამიანს მდინარეების დამორჩილებული ძალა!



ელექტრობა:

ანათებს ქალაქებსა და სოფლებს. ჰგზავნის დეპეშებს, ხარშავს საჭმელს, ჰკურნავს ადამიანებს.

## მდინარე დამორჩილებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



აი, რა ყოჩაღია ელექტრონი,
მაგრამ ის ძვირია:
ბევრი სჭირდება ელსადგურს
ნახშირი, ნავთი, შეშა.

წყლის ელსადგურზე წყალი
ამოძრავებს მანქანას.

ასეთი სადგურები ძალიან ხელსა-
ყრელია.

დიდხანს მოიკლაკნებოდა უდარ-
დელად მტკვარი.

მაგრამ მას უკვე ულელი დაადგეს, გზა
გადაუღობეს დიდი საგუბრით.

ააგეს მტკიცე და მძლავრი ზაჰესი.

რიონსაც ეყო უქმად დენა,—
შენდება რიონჰესი.

ელექტრო ამოძრავებს დაზგებსა და მანქანებს
ფაბრიკა-ქარხნებში.

ამოძრავებს მატარებლებსა და ტრამვაებს.



ახლა კი მუშაობენ, რომ დაიმორ-
ჩილონ დნეპრი.

დაეჯახება დნეპრი საგუბარს —
გზა არსით არის!

საგუბრის მხოლოდ იმ ადგილას,
სადაც აგებენ ელსადგურს,
წყალს დაუტოვებენ გასავალს.

წყალი იმ ადგილს მიაშურებს
გაგიჟებული.

ამწე მუშაობს, გადააქვს ტვირთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევარდება წყალი რკინის უზარმაზარ მილში.

უცბად მას გზას გადაუღობავს ტურბინის ბორბალი.

ეცემა წყალი ბობრბალს, აამოძრავებს ტურბინს.

ამოძრავდება ტურბინი — აამოძრავებს დინამო-მანქანას.

დინამო - მანქანა ელექტროდენს გამოიმუშავებს. გაჰყვება მავთულებს-ელექტრობა, წავა ფაბრიკა - ქარხნებში.

---

წარმოიდიგენთ მატარებელი, რომელიც 400 კილომეტრზე გაჭიმულა!

რამდენი ათიათასი ვაგონი ექნება მას!

წარმოიდგინეთ, რომ მთელი ვაგონები მიწით არის სავსე.

აი, რამდენი მიწა უნდა ამოთხარონ დნეპროსტროიზე.

გამოიწრეს ამერიკიდან ექსკავატორი.

დაიღუნება ექსკავატორი — აიღებს ნახევარ ტონა მიწას და დაჰყრის ვაგონზე.

აფეთქებენ კლდეებს, ცვივა უზარმაზარი ქვები, წონით რამდენიმე ტონა.

ვინ აიღებს ამ ქვებს, ვის აქვს ამის თავი?

გამოჩნდა ასეთი ღონიერი:

ეს არის მექანიკური

ამწე ონკანი.

მას გადააქვს სიმძიმეები იქ, სადაც საჭიროა.

---

600 მილიონი მანეთი ეღირება დნეპროსტროის საგუბარი, ელსადგური, ქარხნები,

არხი და რაბები.

შაიგეს

ამის შესახებ საზღვარგარეთ,
ნერწყვი მოადგათ კაპიტალისტებს:
აი, იქ შეიძლება ფულის გაკეთება!

მოგვწერეს:

„დნეპროსტროის უჩვენოდ ვერ ააგებთ,
თუ ჩვენც არ დაგეხმარეთ — წააგებთ".

იფიქრა ჩვენმა მთავრობამ და გადაწყვიტა:

„ვიცით, ვინც წააგებს!
დნეპროსტროის კი ჩვენ თვითონ ავაგებთ".

---

არასოდეს არ უნახავს დნეპრს ამდენი ხალხი და ამდენი მანქანა.

მატარებელს მიჰყავს მუშები დნეპროსტროისთვის.

ააგეს ფაბრიკა - სამზარეულო.

უზრუნველყოფილი იქნებიან დნეპროსტროის მუშები!



ზაჰესი 38



დნეპროსტ



ას ცხენის ძალას იძლევა

**1932 წლის 1 აგვისტოს**
დნეპროსტროი
მოგვცემს ელექტროდენს.
36 მილიონი კაცის ძალა ექნება მას!
აი, რა წარმოუდგენელი ძალის შექმნა გადაწყვიტეს ბოლშევიკებმა!
მთელ საბჭოთა კავშირში ფუსფუსებენ მუშები,
შენდება:
უზარმაზარი ქარხნები,
შენდება ელსადგურები.
სოფლებში გლეხები აერთიანებენ თავის პატარა ნაკვეთებს,
არსდება მძლავრი კოლექტივები.
ტრაქტორები
სპობენ საუკუნოებრივ მიჯნებს.

---

ელექტრობა,
ავტომობილები,
ტრაქტორები,
ჰაეროპლანები,
კოლექტიური შრომა, —
აი, რა ძალები იმუშავებენ
ადამიანისთვის!
ასეთი ძალებით მოსპობს მუშათა კლასი სიღარიბეს
და ჩამორჩენილობას,
საბოლოოდ დაამარცხებს
კაპიტალისტებს
და დაამყარებს სოციალიზმს'



ოის საგუბარი 36 მილიონ ადამიანის ძალას მოგვცემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა არის პოლიტექნიზაცია



ამხ. ნ. კრუპსკაია—ტრიბუნაზე



პიონერი—სადურგლოში

როგორ გადავაქციოთ ყველა საფეხურის სკოლა, როგორც ქალაქში, ისე სოფლად, მართლაც შრომის სკოლად, თანაც არა უბრალო შრომის სკოლად, არამედ ისეთად, როგორსაც მოითხოვს ტეხნიკის თანამედროვე მდგომარეობა და ის ამოცანები, რომლებიც დგას ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის წინაშე, ე. ი. როგორ გადავაქციოთ ჩვენი სკოლა პოლიტეხნიკურ სკოლად?

თუმც ჩვენს სკოლას შრომის სკოლა ჰქვიან, ჯერ-ჯერობით ის მხოლოდ ნაწილობრივ არის შრომის სკოლა, იმდენად, რამდენადაც ბავშვების ყურადღება შრომის შესწავლისაკენაა მიპყრობილი და რამდენადაც სკოლა საზოგადოებრივი სასარგებლო შრომის დამაორგანიზაციებელია. ბავშვები საექსკურსიოდ მიდიან ფაბრიკებსა და ქარხნებში, სახელოსნოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მსჯელობენ ხნულის შესახებ, მაგრამ სკოლებში სრულიად არ არის სახელოსნოები, ხოლო ის სახელოსნოები, რომლებიც არის, უმეტეს შემთხვევაში ცუდადაა მოწყობილი. როგორ მოვაწყოთ სახელოსნოები, სახელდობრ რა სახელოსნოები უნდა იყოს, იქ რას და როგორ უნდა ასწავლიდენ, ვინ უნდა ასწავლიდეს, —აი ამის შესახებ ვილაპარაკებთ.

წინადაც ასწავლიდენ ბავშვებს შრომას, უკვე 10 წლის ბავშვები გამოჰყავდათ სკოლიდან, და მიაბარებდენ ხოლმე სასწავლებლად. ვთქვათ, იყო ასეთი სპეციალობა: — კოვზების წარმოება, იქ ხის კოვზებს აკეთებდენ. მთელი დღეები, 12—14 საათს მუშაობდა ბიჭუკელა მეკოვზესთან და მხოლოდ კოვზების კეთება იცოდა. მერე ქარხნებში დაიწყეს ლითონის იაფი კოვზების კეთება, და აღარავინ აღარ ყიდულობდა ხის კოვზებს. უნდა მიანებოს ამ საქმეს თავი, სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი. სხვა რამის კეთება კი არაფრის იცის. ტეხნიკამ მისი ცოდნა გამოუსადეგარი გახადა.

ახდა ავიღოთ მეორე მაგალითი. რამდენ ძალ-ღონეს ხარჯავდენ წინად, რომ მეესწავლათ მკა, თიბვა, ლეწვა! ეს ცოდნა თავისთავად როდი მოდიოდა.

ახლა კი ტრაქტორი აკეთებს ამ საქმეს.

ძველი ცოდნა ტეხნიკამ გამოუსადეგარი გახადა. თანამედროვე ტეხნიკა ერთ ადგილას კი არა დგას, ის სწრაფად ვითარდება, მუდამ ახალ-ახალი გამოგონებებია. სამანქანო შრომა ყველა დარგიდან სდევნის ხელით შრომას. ძველი მანქანების ადგილს ახალი მანქანები იჭერს, რომლებიც უკეთ და უფრო სწრაფად მუშაობენ. სხვანაირ ხასიათს იღებს ფაბრიკაში მუშაობა.

თუ ერთმანეთს შევადარებთ ახალი და ძველი ფაბრიკების მოწყობილობას, — დიდ განსხვავებას დავინახავთ. ძველ მუშას ძალიან უჭირს, ის ვერ ეგუება ჩქარ და დაძაბულ შრომას, რომელიც მანქანის მშვენივრად ცოდნას მოითხოვს. ახალი მუშა ვერ შესძლებდა ძველ ფაბრიკაში მუშაობას, სადაც სანახევროდ ხელით შრომა იყო საჭირო, რაც დიდ გაწაფვასა და სიმარდეს მოითხოვდა. ახლა ქარხანაში მუშაობა უფრო მარტივია, მაგრამ სამაგიეროდ მოითხოვს, რომ მუშა კარგად იცნობდეს მანქანას და ესმოდეს წარმოების პროცესები.

ტეხნიკის განვითარების გამო თანამედროვე მუშას, მუდამ უხდება თავისი სამუშაოს შეცვლა: დღეს ის ერთ საქმეს აკეთებს, ხვალ სხვა საქმეს უნდა შეეგუოს. მრეწველობის დარგში დაწინაურებულ ქვეყნებში არა მხოლოდ შავ მუშებს ანდა იმ მუშებს, რომლებსაც უცბად შეასწავლეს ხელობა, არამედ კვალიფიციურ მუშებსაც 10—15-ჯერ უხდებათ სამუშაოს გამოცვლა.

თანამედროვე მანქანების მუშაობაში ბევრი რამ არის საერთო, საჭიროა მხოლოდ გქონდესთ საერთო შრომითი ჩვევები, იცოდეთ მანქანაზე მუშაობა, გესმო-

დეთ ტეხნიკის საფუძვლები, და მაშინ ადვილად შეიძლება შეგუება.

პოლიტეხნიკური განათლების გამო ჩვენ გავიგებთ თანამედროვე ტეხნიკის საფუძვლებს და საერთო შრომით ჩვევებსაც მივიღებთ. პოლიტეხნიკური განათლება— ეს არის მომავალში უმუშევრობისაგან თავის დაზღვევა.

აქამდე ჩვენი ქვეყანა მრეწველობის დარგში ძალიან ჩამორჩენილი იყო, ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი რამ კეთდება ხელით, ძველებურად, მაგრამ ახლა ჩვენს ქვეყანაში სწრაფად ტარდება ინდუსტრიალიზაცია, ყველგან შენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები, ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით მოწყობილი. შენდება ელსადგურები, მინდვრებში ტრაქტორები და კომბაინები მუშაობს, ახალი რკინის გზები კეთდება.

ყველგან საჭიროა მცოდნე მუშები, მაგრამ სად არის. ძველი ცოდნა საჭირო აღარ არის, ახალი ცოდნა კი არ არის.

პოლიტეხნიკური განათლება გვაძლევს ცოდნას, რომ ადვილად შევეგუოთ შრომის სხვადასხვა დარგს ქალაქში და სოფლად, ის იძლევა საერთო შრომითს ჩვევებს, მუშაობის დაწყების საერთო ცოდნას.

წინად ასე ამბობდენ: მეწაღევ, შენ შენი კალაპოტები უნდა იცოდე, და ამ კალაპოტებს გარდა მეწაღეს სხვა არაფერი არ აინტერესებდა. კაპიტალისტიც ასე ფიქრობდა: ქარხნის მუშამ მხოლოდ თავის დაზგა უნდა იცოდეს, ხოლო იმის ცოდნა, თუ საერთოდ მთელი წარმოება როგორ არის დაყენებული, მუშის საქმე არ არისო. მუშა ბრმა ამსრულებელი უნდა ყოფილიყო.

როგორ არის ჩვენში, საბჭოთა კავშირში?

ახლა, ქარხანაში შრომის ახალი ორგანიზაციის გამო, შაბათობათა და სოცშეჯიბრების გამო, მუშებს წარმოება თავისად მიაჩნიათ და შრომის ნაყოფიერების გაზრდა აუცილებელ საქმედ მიაჩნიათ.

კაპიტალისტები აღარ არიან, წარმოებაზე თვით მუშები ზრუნავენ.

და, აი, მუშებმა უნდა იცოდენ ყოველივე, რაც შეეხება წარმოებას, ტეხნიკას, უნდა იცოდენ, თუ როგორ უნდა გააუმჯობესონ წარმოება, როგორ დააყენონ ის სათანადო სიმაღლეზე.

ჩვენი მოზარდი თაობისთვის აუცილებელია პოლიტეხნიკური განათლება.

იმის შესახებ, თუ რა რიგ მნიშვნელოვანია პოლიტეხნიკური განათლება, რა მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მას მუშათა კლასისათვის, თავის დროზე ამბობდენ ჩვენი მასწავლებელნი მარქსი და ენგელსი.

ლენინი ბევრს სწერდა პოლიტეხნიკური განათლების შესახებ. ჯერ კიდევ 1897 წელს ამბობდა ის პოლიტეხნიკური განათლების მეტის-მეტად დიდი მნიშვნელობის შესახებ. მისი დაჟინებით ჩაემატა კომუნისტური პარტიის პროგრამის მე-12 პუნქტს პარაგრაფი იმის შესახებ, რომ სკოლა პოლიტეხნიკური უნდა გახდეს. და შემდეგაც მუდამ აინტერესებდა ეს საკითხი, ზრუნავდა იმაზე, რომ ეს საქმე თანდათან წინ წაწეულიყო.

ილიჩის ანდერძია — ჩვენი სკოლა პოლიტეხნიკური გავხადოთ. მაშ აქამდე რათ არ შესრულებულა ეს? ძნელი იყო საქმის მოგვარება, სანამ არევ-დარევა იყო, სანამ ჩვენი მრეწველობა არ იყო წელში გასწორებული.

მართალია, ილიჩი გვასწავლიდა გამოგვეყენებია პოლიტეხნიკური განათლებისათვის თითეული მანქანა, თითეული ელსადგური, რკინის გზის თითეული სახელოსნო.

ილიჩი ამბობდა აგრეთვე, რომ ჩვენ მუშათა რიგებიდან უნდა მოვამზადოთ პოლიტეხნიკური შრომის მასწავლებელნი, ჩავაბათ ამ საქმეში მუშები, მათთან ერ-



პიონერი — საათის შეკეთებაზე



პიონერი — ავეჯის ქარხანაში



პიონერი — ხელსაქმის წრეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად ვაშენოთ პოლიტექნიკური სკოლა. ამ საქმისკენ მიუთითებდა ის სამეურნეო ორგანოებს.

ახლა ჩვენი ქვეყანა სწრაფი ინდუსტრიალიზაციის გზაზეა დამდგარი.

დადგა ის მომენტი, როდესაც უკვე აღარ შეიძლება დაყოვნება. მრეწველობას ძალზე სჭირდება პოლიტექნიკურად მომზადებული მუშები. მუშებს სურთ გახდენ წარმოების ნამდვილი ბატონ-პატრონი.

უნდა ავჩქარდეთ და პოლიტექნიკური სკოლა დროით შევქმნათ.

პარტთათბირმა, რომელიც აპრილის დამლევს ჩატარდა, გადაწყვიტა მტკიცედ, მედგრად წასწიოს წინ ეს საქმე.

ახალგაზრდობა მხურვალედ მოითხოვს პოლიტექნიკურ სკოლას.

მაგრამ ამ საქმის შესრულება შეუძლებელია, პოლიტექნიკური სკოლის შექმნა შეუძლებელია, თუ არ დაგვეხმარენ მუშები, თუ არ დაგვეხმარენ პროფკავშირები, თუ არ დაგვეხმარენ სამეურნეო ორგანოები.

ამხანაგო მუშებო, ამხანაგო კოლმეურნენო, რომლებიც მუშებზე ნაკლებ როდი ხართ დაინტერესებული ამ საქმით, ვინაიდან თუ არ გეცოდინებათ ტექნიკა, ქიმია, აგრონომია (ყოველივე ეს შედის პოლიტექნიკურ განათლებაში), ისე შეუძლებელია მსხვილი კოლმეურნეობრივი მეურნეობის შექმნა, ამხანაგო მუშებო, ამხანაგო კოლმეურნენო, გულდასმით ადევნეთ თვალყური პოლიტექნიკური განათლების შესახებ ყრილობის მოწვევის სამზადისს, თვითონ ამ ყრილობას, და მოიფიქრეთ, რით შეგიძლიათ დაეხმაროთ ჩვენი სკოლის პოლიტექნიკურ სკოლად გადაქცევას.

სამეურნეო ორგანოების მესვეურო ამხანაგებო, იცქირეთ წინ: პოლიტექნიკური სკოლა ზრდის თქვენთვის საჭირო კადრებს. მთელი ძალ-ღონით დაეხმარეთ ილიჩის ანდერძის განხორციელებას.

**ნ. კრუპსკაია.**



**პიონერი — საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფრონტზე**

# ქ ა რ ხ ა ნ ა შ ი

**მოქმედნი:**

1. სოსო (მუშა)
2. ვალიკო (კომკავშირელი)
3. ნუცა (მუშა-ქალი)
4. ვანო (პიონერი)

სცენა: ქარხნის ერთი კუთხე.

ისმის: საყვირი, ხმაური, ქურას ქშუილი, ჩაქუჩის გრდემლზე ცემა, სიმღერა. ვალიკო დაზგაზე მუშაობს ღიღინით. ნუცა კედლებზე შესაფერ პლაკატ-ლოზუნგებს აკრავს. პაუზა)

**ვალიკო.** (სიმღერა — მუშაობაში) ჩვენ ვართ მჭედლები...

**ნუცა.** (აჰყვება, თან აკრავს) ახალ ცხოვრების...

**ვალიკო.** ისე ჩემო ნუცა, რომ ოქტომბრის რევოლუციის ერთი წელიც... არა?! (შესდგება, მხიარულად. პლაკატებს უყურებს).

**ნუცა.** ჰმ! (შეხედავს) ვითომდა რაო, ა? ჩვენი ქარხანა ხომ დამკვრელადაა გამოცხადებული?..

**ვალიკო.** ეს, ისე ვთქვათ... როგორ?! (იბნევა, ვერ მიხვდა).

**ნუცა.** როგორ კი არა, საამქროებმა ხომ გამოიწვიეს ერთმანეთი სოცშეჯიბრებაში?

**ვალიკო.** კი... მარა...

**ნუცა.** მარა კი არა, სოციალისტური ინდუსტრია ხომ უნდა ავსწიოთ და მივაწოდოთ მანქანა - იარაღები სოციალისტურ გზაზე შემდგარ სოფელს, რომ აყვავდეს კოლექტივიზაცია და ჩვენს ქარხნებს სამყოფად მოუვიდეს ნედლი მასალა?!

**ვალიკო.** მერე?..

**ნუცა.** მერე და (ენას გამოუყოფს ღიმილით) ის, რომ დამდგარხარ და პირი დაგიღია, ეგ ხომ გაცდენაა?! გამომუშავება იგვიანებს! — სადაა ტემპები?!

**ვალიკო.** (ერკვევა) ჰო... არა, აი ეს რა კარგი პლაკატებია მეთქი და... (ღიმილი. თან ცალი ხელით ჩაქუჩს სცემს, თან ცალით ანიშნებს პლაკატებზე, ელაპარაკება).

**ნუცა.** (სიცილით) ეგ რა, ცალი ხელით?!

**ვალიკო.** ა? ჰმ!.. (ღიმილი. აგონდება) აბა რა, ორ ფრონტზე ბრძოლა... პარტიის გენერალური ხაზით სვლა! — ხუთწლედის ოთხწელში! დაჰკა!!! (მუშაობას უჩქარებს; სიმღერა).

**ნუცა.** (ეცინება) აგრე უთავბოლო სიჩქარემაც იცის ნამუშევარში წუნი... (მივა, ნაკეთებს აიღებს) აბა ეს რაა, — სწორედ ვერ გაქლიბე?!

**ვალიკო.** ჰო, კარგი, ნუ მეტრაბახები!.. აქაო და ადგილკომში გადამიყვანესო, ზევით-ზევით ნუ ხტი! თორემ ისევ აი აქ გადმოგიყვანთ, როგორც იყავი ჩემ გვერდით—დაზგაზე!..

**ნუცა.** (ღიმილით) რა, გაბრაზდი?! ჰო, აღარც ხუმრობა იცი და აღარც... (მიდის) წავიდე, ბარემ იმ ცეხშიც გავაკრა. (მობრუნდება) მართლა, შაბაშის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დეგ; არ დაგავიწყდეს, ადგილკომში კომკავშირის კრე-ბაზე...

**ვალიკო.** ჰმ!.. დრო ნახა ხუმრობის... (მუშაობს).

**ნუცა.** გესმის? (ეცინება).

**ვალიკო.** ვგონებ, რომ უნდა მესმოდეს...

**ნუცა.** მაგრამ სოსო სადაა აქამდე? დაზგა დგას?!

**ვალიკო.** მაშ რა, ხომ არ იცეკვებს?!—აი მაშინ დაი-ძვრის და ათამაშდება დაზგა, როცა ჩაქუჩი ჩაატარებს თავში!.. (ღიმილი) სოსო ხომ თათბირზეა კავშირში?!

**ნუცა.** ა?! ჰო, მართლა, მაგას ხომ აწინაურებენ, რო-გორც ძველ რევოლიუციონერ მუშას, პირველ დამკვრელ ბრიგადირს, წითელ დაფაზე გაკრულს... აბა მიხვდი სად?

**ვალიკო.** ალბათ ბანკში სადმე, ან...

**ნუცა,** არა, ვგონებ ჩვენთან, წითელ დირექტორად... (ღიმილი).

**ვალიკო.** ა?! (უხარია).

**ნუცა.** დიაღ... (მიდის, შემომავალ ვანოს შეხვდება) ვანო?!

**ვანო.** (ხელს მაღლა იღებს) სალამი ამხანაგებს!

**ვალიკო.** ო, პატარა ბოლშევიკო!

**ნუცა. ვალიკო.** ვაშა ჩვენ შემცვლელს!..

**ნუცა.** სოციალიზმისკენ სვლად იყავ მზად! (ღიმილი. თავზე ხელს გადაუსვამს).

**ვანო.** მზად ვარ!!! (ხელი მაღლა) მაგრამ მამა სადაა?! (დაზგაზე უჩვენებს, მოიღუშება).

**ვალიკო.** თათბირზეა და...

**ვანო.** მე კი მინდოდა მეხარებინა...

**ნუცა.** რა?

**ვანო.** რა და... ამხანაგებო — ნუცა, ვალიკო, ჩვენმა პიონერკოლექტივმა შეფობა აიღო თქვენი ქარხნის და-ზგებზე და მე ორი ამხანაგით, რომლებიც კანტორაში იცდიან, დელეგაციად ვართ გამოგზავნილი, რომ გადმო-გცეთ გადაწყვეტილება!.. (საერთო სიხარული).

**ვალიკო.** ყოჩაღ!

**ნუცა.** ა?!

**ვალიკო.** აბა, ნუცა, ადგილკომში წაიყვანე და რა შესვენების საყვირი აეშვება, რომ მუშები არ მოსცდნენ, ზედმეტი დრო არ დაკარგონ, მაშინ მოვაწყოთ მფრინავი მიტინგი... დე, თვით დელეგატებმა გამოუცხადონ ეს სა-პატიო ამბავი... კარგი, ვანო?

**ვანო.** აგრე!..

**ნუცა.** მაშ წავიდეთ, ვანო, საცაა საყვირიც... (მიდის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვანო.** არა, ნუცა... ჩემი ამხანაგები შეიყვა იქ, მე კი მამის მაგიერ დავრჩები, ვიდრე მოვა... ეხლა და დაზგაჩერებული?! (სწმენდს, უვლის, ჩარხს ატრიალებს სხვა. ამათ უხარიათ).

**ვალიკო.** (ღიმილი) მერე და რა იცი?..

**ვანო.** ვნახოთ... (ღიმილი, ღიღინი).

**ნუცა.** ჰმ!.. (უხარია, მიდის, ამ დროს შემოდის სო-) აი სოსოც...

**სოსო.** ა? გამარჯობათ, ამხანაგებო!.. აბა, როგორა, ვალიკო, საქმე? (სინჯავს ნამუშევარს) არა უშავს, მარა, აი ეს აქეთ მოსწი ცოტა...

**ვალიკო.** ასე?

**სოსო.** ჰო... ა? შვილო, აქ? რად?

**ვანო.** რათა და...

**ნუცა.** გაცდენილი დაზგა ნახა და მიადგა...

**სოსო.** (ხუმრობით) აქეთ, შე ცელქო, მანდ არაფერი მიფუჭო! (დაუტატანებს ალერსით).

**ვანო.** ვინა? მე გავაფუჭო?! შენ გგონია არ გვასწავლიან როგორ უნდა მოვუაროთ მანქანა - იარაღებს?! აი, გაწმინდე, დავზეთე...

**სოსო.** ერთი ამას უყურეთ და!..

**ვანო.** აბა რა, შენ პიონერი რა გგონია? ყველაფერი და იცოდეს თუ არა?! და, აი, მეც... (ამაყად დადგება ღიმილი).

**ნუცა.** აბა რა, ამხანაგო სოსო!.. (ვანოს შექებით).

**სოსო.** ხედავთ?! (უხარია).

**ვალიკო.** აბა, ტყუილად ხომ არ აუღიათ შეფობა ჩვენს დაზგებზე!..

**სოსო.** ვისა? ანათ?! (სიყვარულით შესცქერის, თავზე ხელს გადაუსვამს, ეხვევა) მართლა, ვანო?

**ვანო.** აბა რა, მე ხომ შენს შეცვლად მოვდივარ, მამა? ჩვენი ამოცანა იგივეა, ხომ, რაც თქვენი — მუშების? ცერთაი მუშა დამკვრელობის გარეშე! ყველანი დაზგებან! და, აი, მეც... რა, მე კი არ შემიძლია დაკვრა?! აქუჩს მოუღერს. სიცილია).

**სოსო.** იქით, შე გიჟო, ემანდ თავში არა მრეხვო!

**ვანო.** არა, მამა, შენკი არა, დაზგას!.. (დაუშვებს).

**ნუცა.** აგრე! გაუმარჯოს პიონერებისა და ჩვენ კავშირს!

**ყველა.** (ტაში) ვაშა!!!

**ვანო.** მარად!!! (ხელი მაღლა).

**სოსო.** ასე რომ, ჩემი დაზგა მემკვიდრეობით გადადის შვილზე, რაკი მივდივარ?! (იცინის).

**ვალიკო.** უკვე, ამხანაგო სოსო?!

**ნუცა.** ა?

**სოსო.** არა, შორს კი არა, ისევ თქვენთან! (ღიმილი. უხარიათ. საყვირი გაისმის) ა? საყვირი?!

**ვალიკო.** შაბაში!

**ნუცა.** შესვენება... აბა, ახლა კი მფრინავ მიტინგზე, რომ გამოვუცხადებ მუშებს...

**სოსო.** ო, მე არა... თქვენ კი... ვიდრე განაცდენს არ შევასრულებ... (იწყებს მუშაობას. ღიღინი. საერთო ვაჰყვება. რა ამას შეხედვენ ყველანი აჰყვებიან).

**ყველა.** იძლევი დამკვრელობას?! (სიმღერა).

**ვანო.** ასე, მამა!

**სოსო.** დაზგა!

**ვალიკო.** დაჰკა!

**ვანო.** და

**სოსო.** უკან ჩამორჩენა კი არ,

**ნუცა.** არამედ...

**ყველა.** წინ იარ!!!

ფ ა რ დ ა.

**სეზმან.**



პიონერები სწავლობენ ნიღბის სმარებას

# ყოფა-ცხოვრების საკითხები*)

პიონერორგანიზაცია დღითი-დღე იზრდება რიცხვობრივად, ბავშთა მრავალათასეული მასა მოეშურება ამ ორგანიზაციისაკენ. ჩვენი კავშირის გაძლიერებული სოცმშენებლობა მთელი თავისი სიმწვავით აყენებს ახალი ადამიანის შექმნის საკითხს. საუბედუროთ, ზოგს ჰგონია, რომ ახალი ყოფაცხოვრების ადამიანი ის არის, რომელიც წიგნაკებს, ბროშურებს კითხულობს ამ საკითხზე და სხვა. ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ ახალგაზრდობის ფართო მასა არ უნდა კითხულობდეს და არ უნდა ეცნობოდეს ამ საკითხზე გამოცემულ პატარა ბროშურებს, პირიქით, ეს აუცილებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ამ კითხვით და მარტო კითხვით შეიძლება ადამიანს ეწოდოს ახალი ადამიანი. ეს არაა სწორი. სწავლისა და აღზრდის შესახებ ლენინი ასე ამბობდა: „მარტო კომუნისტური წიგნაკებიდან და ნაწარმოებებიდან შეძენილი ცოდნა კომუნიზმისა არაფრად არ ღირს, თუ მას მუშაობა და ბრძო-

*) კამათის წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა არ ახლავს“. და მართლაც, საჭიროა თუ არა ბრძოლა ახალი ყოფაცხოვრების ადამიანისათვის? რასაკვირველია, საჭიროა.

ვინ უნდა აღზარდოს ეს ახალი ადამიანი?

— ერთის მხრივ ოჯახმა, — იქნება პასუხი. მაგრამ საკითხავია: მეშჩანურ ოჯახს შეუძლია თუ არა აღზარდოს ეს ახალი ადამიანი, რომელიც გვჭირდება გაძლიერებული სოცმშენებლობის ყველა ფრონტზე?

პასუხი ერთია: — არა.

და სწორედ აქაა საჭირო ჩვენი პიონერ - ორგანიზაციის მუშაობის გაშლა.

პიონერორგანიზაციამ ბავშვებში უნდა აღმოფხვრას ოჯახიდან გამოყოლილი ყოველგვარი მავნე დახავსებული ჩვეულება და უნდა მისცეს ახალი კომუნისტური ჩვევები, რითაც შევძლებთ იმ ახალი კადრის მომზადებას კომკავშირის ორგანიზაციისათვის, რომლის საქმეცაა ახალი კომუნისტური საზოგადოების შენება.

ჩვენ საშუალება გვაქვს პიონერი გამოვიყენოთ ცოცხალ პროპაგანდისტად იმავე ოჯახში შემორჩენილ ჩვევათა წინააღმდეგ. რა მავნე ჩვევებია ტიპური ყველა კოლექტივისათვას? უპირველეს ყოვლისა ძლიერი ინდივიდუალისტური ინსტინქტი; ეს ჩვევა ჩონჩობისა და მტაცებლური დროის ნაშთია. იმ დროს, როდესაც გიგანტურ სოცმშენებლობას ვაწარმოებთ როგორც სოფლად, ისე ქალაქად, როცა დგას სოფლის მეურნე გლეხების პირად - ინდივიდუალური ფსიქოლოგიის სოციალისტურად გარდაქმნის საკითხი,—ჩვენ ვხვდებით პიონერკოლექტივებში დავას, ჩხუბს და დავიდარაბას „შენია—ჩემია“-ს გამო. ხშირია „ჩემი რვეული“ „ჩემი წიგნი“ და იშვიათია სიტყვა „ჩვენი“. საჭიროა თუ არა ამ მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორება? არა თუ საჭიროა, აუცილებელია, თუ გვინდა პიონერორგანიზაცია სოცმშენებლობას უკან არ მისჩანჩალებდეს.

თუ ჩვენ ვერ შევძელით 10—12 წლის ბავშის ინდივიდუალისტური ფსიქოლოგიის გარდაქმნა, ზედმეტი იქნება ლაპარაკი გლეხზე და მის ფსიქოლოგიაზე. საჭიროა კოლექტივში კოლექტიურ - შრომითი აღზრდა სათანადო დონეზე იდგეს, კოლექტიურად უნდა გამოვიწეროთ ჟურნალები, გაზეთები, ლიტერატურა, საჭიროა კოლექტიური მუშაობის წარმოება მიწის ნაკვეთზე და მრავალი სხვ., რითაც შეიძლება ჩვენთვის მიუღებელი ჩვევების აღმოფხვრა. ასეთი ჩვევები ჩვენ მრავალი გვაქვს, რომლებიც საგრძნობლად აფერხებენ ახალი ყოფის ადამიანის შექმნის საქმეს.

## უცხოეთში

იბრძვის, წინ იწევს
მსოფლიო პიონერია,
მარა, ასე სჩეხს ნორჩ-რიგებს
ჟანდარმერია.



რაც შეეხება სხვა ჩვევებს, სამართლიანად აღნიშნავს ლომიძე, რომ „მლიქვნელობა ყველაზე მავნე და არაკომუნისტური ქცევაა“. ეს მართლაც ასეა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს მაინც არის გავრცელებული ზოგ კოლექტივებში. ხშირად კოლექტივების ხელმძღვანელები თვითონ უწყობენ ხელს ამ მდგომარეობას: ბავშს, რომელიც კარგად მუშაობს, ეფერებიან, აქეზებენ, აქებენ. ამის შემდეგ პიონერს გამოაქვს დასკვნა, თითქოს იგი ყველაზე უკეთესია და, მაშ, რატომ უნდა გაუყადროს თავი „უბრალო“ პიონერებს! ის დიდგულობს, მეტიჩარობს, და ხშირად კოლექტივი იძულებულია ასეთი პიონერების გამორიცხვის საკითხიც კი დასვან. ჩვენ არ უარვყოფთ პიონერთა წასახალისებელ საშუალებებს, მაგრამ საჭიროა ზომიერება. ბავში, თუგინდ ის აქტიურიც იყოს, არ უნდა გამოარჩიოთ დანარჩენ ბავშვებში, თორემ ბოლოს ის გამოვა, რომ კოლექტივში 2—3 პიონერის მუშაობა გამოჩნდება და დანარჩენი მთლიანი კოლექტივის მასის თვითმოქმედება ჩაკლული იქნება. რომელიმე პიონერის გადამეტებულად დაფასება ხელმძღვანელის მიერ შურის გრძნობასაც იწვევს პიონერებში, და ამნაირად კოლექტივში პიონერული დამოკიდებულებაც ირღვევა.

თუ ხელმძღვანელი უკადრისია, მეტიჩარა, —მაშინ პიონერიც მას მიბაძავს. ამიტომ ახალი ადამიანის აღზრდისათვის საჭიროა ჯერ თვითონ შენ იყო ახალი, რომ შეგეძლოს ამ დიდი საპასუხისმგებლო საქმის შესრულება.

ბავშკორი **ვერიკოლ ბუაჩიძე.**

## ჩვენში

იბრძვის, წინ იწევს,
საქართველოს პიონერია,
ოქტომბრია მშვენ მზეს ასე შვებით
აუმღერია...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავძრათ ბავშთა მასები

ხუთწლედის მეორე წელი მიიწურა. ჩვენ მესამე და გადამწყვეტი წლის საზღვარზე ვიმყოფებით. სოციალისტური მშენებლობის 1930-31 წლის გიგანტური პროგრამა მოითხოვს „მთელი მუშათა კლასის, ყველა პარტიული, პროფკავშირის, კომკავშირის ორგანიზაციების და სამეურნეო ორგანოების ყველაზე აქტიურ და ამავე დროს დაუყოვნებლივ მობილიზაციას“ (საკ. ცეკას 3 სექტემბრის მიმართვიდან).

მაგრამ „მომავალი საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების უმთავრეს პირობას წარმოადგენს 1929-30 წლის სამეურნეო - საფინანსო გეგმის შესრულება“ (იქიდანვე). სხვათა შორის, მიუხედავად სამრეწველო პროდუქციის გიგანტური ზრდისა ხუთწლედის მეორე წელს (მსხვილი მრეწველობის პროდუქციის საერთო ზრდა 27 პროც. 10 თვეში, მძიმე ინდუსტრიის — 39.5 პროც., რაც რეკორდად უნდა ჩაითვალოს მთელი რეკონსტრუქციის პერიოდისათვის), მრეწველობა უფრო ნელა იზრდება, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით (32 პროც.).

გეგმას ჩამორჩება აგრეთვე კაპიტალური მშენებლობაც. ეს გარემოება საშიშროებას უქადის მესამე წლის მთელ გეგმას.

ამ დანაკლისში ყველაზე ნაკლები ბრალი, რასაკვირველია, მიუძღვის ოპორტუნისტების მიერ შეყვარებულ ცნობილ არგუმენტს „ობიექტურ პირობებს“. მუშათა კლასის გაზრდილი აქტივობისადმი ხელმძღვანელობის გაწევის უუნარიანობა, მრეწველობის შინაური რესურსების სუსტი მობილიზაცია, არასაკმაო ბოლშევიკური ბრძოლა მუშა - ხელის ცვალებადობის წინააღმდეგ, დანაკლისი მუშათა მომარაგების საქმეში, რაც კოოპერაციის სუსტი მუშაობის ნიადაგზე აღმოცენდა. მოკლედ რომ ვთქვათ, „ბოლშევიკური ტემპების მაგივრად ოპორტუნისტული დაყრდნობა თვითდინებაზე“ (ცეკას მომართვიდან), — აი დანაკლისის მთავარი მიზეზები, რაც გინდა ამტკიცონ მემარჯვენე ოპორტუნისტებმა, ხუთწლედის მეორე წლის გეგმა მაინც რეალურია. ბოლშევიკურმა პარტიამ მთელ მუშათა კლასს მოუწოდა დანაკლისების წინააღმდეგ ბოლშევიკური ბრძოლისაკენ, სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის და მესამე წლის გეგმისათვის მოსამზადებლად.

ცეკას მიმართვის შემდეგ პირველმა დღეებმავე გვიჩვენა, რომ მთელი კავშირის მუშათა კლასი ერთსულოვნად გამოეხმაურა თავისი პარტიის მოწოდებას. პროლეტარიატის აქტივობის უდიდესი ზრდა — დასახული გეგმის გადაჭარბებით შესრულების საუკეთესო თავდებია.

კომკავშირი ჩაება გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში. საკავშირო კომკავშირის ცეკა, თავის 4 ოქტომბრის დადგენილებაში „მობილიზაციაქმნილად აცხადებს კავშირის მთელ ორგანიზაციებს საკავშირო კომპარტიის ცეკას მიმართვის გატარებისათვის“. პიონერორგანიზაციას და პროლეტარულ ბავშთა მთელ მასას არა აქვს უფლება გვერდი აუხვიოს ამ უდიდეს მუშაობას. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი წუთის დაუკარგავად დაუყოვნებლივ მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს.

პიონერორგანიზაციას და მთელ მის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ბავშებს წილად ხვდება ბევრი დიდი მნიშვნელობის ამოცანა.

ოქტომბერ - დეკემბრის გეგმით, დავალებამ უნდა მიაღწიოს აგრეგატამდე, დაზგამდე, მუშამდე. საჭიროა მუშების და მშობლების ჩაბმა დამკვრელთა ბრიგადებში, საჭიროა მუშებთან ადრე დადებული კოლექტიური და ინდივიდუალური ხელშეკრულების მასიური შემოწმება და ახლის დადება, ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იქნეს მუშების ვალდებულება წარმოებაზე განსაზღვრული ვადით მიმაგრების შესახებ (შეფობის აღება, წითელ და შავ დაფებზე ცნობების და ბიულეტენების გამოშვება გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე და დამკვრელი ბრიგადების მუშაობაზე) შემხვედრი სამრეწველო - საფინანსო გეგმის შედგენაში მონაწილეობის მიღება და, ბოლოს, კომკავშირის ორგანიზაციისადმი დახმარება მსუბუქი კავალერიის მუშაობაში მუშათა მომარაგების გამორკვევის დროს, უშუალო შრომითი დახმარება წარმოების ვიწრო ადგილებზე ბავშებისა და მოწაფეების მხრივ, — აი ბრძოლის ძირითადი დარგები.



მზად ვარ!

არცერთი რაზმი, არცერთი რგოლი, არცერთი ჯგუფი არ უნდა დარჩეს ამ მუშაობის გარეშე. პიონერები, ბავშთა მასების სათავეში მოქცევით, ამ საქმეში პირველნი უნდა გამოვიდენ. აგრეთვე არ უნდა შევანელოთ არცერთი წუთით სკოლების პოლიტეხნიზაციისათვის დამკვრელი მუშაობა, პირიქით, უდიდესი შეცდომა იქნებოდა ეს მუშაობა ჩამოგვეშორებინა სამრეწველო - საფინანსო გეგმისათვის ბრძოლისაგან. სწორედ ამ დამკვრელი მებრძოლი ამოცანის შესრულების პროცესში დაუახლოვდება სკოლა წარმოებას, ათეული ძაფებით დაუკავშირდება მას საერთო მუშაობაში. სკოლის მონაწილეობა გეგმისათვის ბრძოლაში სკოლის პოლიტექნიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯია.

სწორედ ასე უნდა დასვას საკითხი თვითეულმა პიონერმა.

სიფხიზლე და დამკვრელობა გამარჯვების წინასწარი პირობაა. დაუყოვნებლივ შევუდგეთ ამ საქმეს, შევადგინოთ კონკრეტული მებრძოლი გეგმები, მივცეთ გარკვეული დავალება, მოვაწყოთ აღრიცხვა, გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება ამ ამოცანების შესრულების ირგვლივ. — აი რა უნდა გავაკეთოთ ახლა, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პიონერორგანიზაციის მილიონიანი არმია, რომელიც ყოველთვის პარტიისა და მთელი საბჭოთა ქვეყნის დასახმარებლად მიდიოდა კლასიური ბრძოლისა და სოციალიზმის მშენებლობის გადამწყვეტ მომენტებში, ახლაც **ლენინური ცეკას მებრძოლ მოწოდებაზე „პარტიის, მუშათა კლასის ყველა ძალა სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულებისათვის, ხუთწლედის მესამე წლის გეგმის უზრუნველყოფისათვის!“ მტკიცედ უპასუხებს: „მზად ვართ!“**

**ი. ს—ი.**

# რა ვიკითხოთ?




დღეს პროლეტარული საბავშო ლიტერატურის მნიშვნელობა განუზომელია. პროლეტარულმა საბავშო ლიტერატურამ უნდა შესძლოს ბავშში სოციალისტური ჩვევების და გრძნობების გამომუშავება. პროლეტარული საბავშო ლიტერატურა იმით განსხვავდება ბურჟუაზიულისაგან, რომ ის აძლევს ბავშს მოვლენებში მეცნიერულად გარკვევის იარაღს. ამხ. პანტ. ჩხიკვაძის წიგნი „პატარა აგრონომი“ ამ ამოცანებს აუცილებლად შეესაბამება. ამხ. ჩხიკვაძეს ჩვენ ვიცნობთ აგრეთვე როგორც ჟურ. „პიონერის“ ერთ-ერთ ძირითად თანამშრომელს. „პატარა აგრონომი“ არის კრებული ჟურნალ „პიონერ“-სა და „ოქტომბრელ“-ში დაბეჭდილი სხვადასხვა მოთხრობების.

პირველი მოთხრობა „პატარა აგრონომი“ ხასიათდება ცოცხალი და მოკვეთილი გამოთქმებით. აგრონომიული ცოდნა, მხატვრული ალღო, დაწმენდილი ქართული ენა, —აი მისი დამახასიათებელი მხარეები. მთავარი მოქმედი გმირი, პიონერი ვანო, თავისი მამის მეურნეობაში საგაზაფხულო თესვის იდეის გამტარებელია. პირველ ხანებში ვანო ვერ სძლევს მამის წინააღმდეგობას, ვერ არწმუნებს, რომ აუცილებელიანაადრევად თესვის დაწყება, სამაგიეროდ ვანოს მამის ჯიუტობას პიონერები უპირდაპირებენ აგრონომის ხელმძღვანელობით კოლექტიური შრომის ნაყოფს. საბოლოოდ პიონერები იმარჯვებენ, ვანოს მამა კი მარცხდება. აქ დაპირდაპირებულია მეცნიერება-ცოდნა და უცოდინარობა. გამარჯვება, რასაკვირველია, პირველის მხარეზეა. ამხ. ჩხიკვაძე ოსტატურად ახერხებს ამ ახალის გამარჯვების გზების ჩვენებას.

ამავე განხრით არის დაწერილი „მანკიანი ხრახნი“. ამ მოთხრობის მოკლე შინაარსი ასეთია: მუშები აკეთებენ ორთქლმავალს, მაგრამ ხრახნი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მატარებლის მოძრაობისათვის, ცუდად არის გაკეთებული. ინდუსტრიალური ტეხნიკუმის პრაქტიკანტი ტრიფონი, მუშებს უმტკიცებს, რომ მათ მიერ გაკეთებული ხრახნი, ფიზიკის კანონის თანახმად, ვერ გაუძლებს იმ წნევას, რომელიც მან უნდა განიცადოს, მაგრამ მუშები მას დასცინიან და „ფიზიკის ლექტორს“ ეძახიან. საცდელი გარბენის დროს მატარებელი, ხრახნის გაფუჭების გამო ჩერდება; ტრიფონი იმარჯვებს. ეს ამბავი მოგონილი არ არის. ამგვარ ფაქტებს საწარმოო ცხოვრების პრაქტიკაში შევხვდებით. პანტ. ჩხიკვაძე არა თუ აყენებს საკითხს, არამედ იკვლევს მას ყოველმხრივ და სჭრის მეცნიერული სიზუსტით.

„ბეჟიკოს განცხადება“-ში ნაჩვენებია ახალი გრძნობით აღჭურვილი ბავშის ზრდის მაგალითი. ბეჟიკომ მამას შეამჩნია, რომ მამამ სიმინდი გადამალა. ბეჟიკო გარბის ალმასკომის თავმჯდომარესთან ამ ამბის შესატყობინებლად. მართალია, ბეჟიკოს განცხადება არ გამოდგება სწორი. აქ გამარჯვება-დამარცხების მომენტი არ არის საინტერესო. მთავარია იმის შეგნება, რომ თესლეულობის გადამალვა, სახელმწიფოს საწინააღმდეგო საქმის კეთებას ნიშნავს.

„ტაია“ კარგია როგორც თემით, ისე თემის გაშლითა და გადაჭრით.

ყველასათვის ცნობილია, რომ ტრაქტორი ახდენს სოფლად რევოლუციას. ზოგიერთებს პირველ ხანებში ტრაქტორი წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც რკინის კამეჩი, უშველებელი ცხოველი, ჯიშიანი ხარი და სხვ. თინას, ტაიას და სხვა პიონერებს სჯეროდათ, რომ ტრაქტორი ვეებერთელა ხარია, რომელიც ბალახით იკვებება. ვალიკომ, მართალია, იცის, რომ ტრაქტორი ბალახს არა სჭამს, მაგრამ მისი სახე გარკვეულად არა აქვს წარმოდგენილი. ვალიკოს ამხანაგები მირბიან ტყეში ტრაქტორისათვის ბალახის მოსაგროვებლად. ვალიკო ჯერ ფიქრდება, მაგრამ კოლექტიური ნებისყოფა იმარჯვებს, და ისიც უერთდება ამხანაგებს საერთო მუშაობაში. უცებ ბობღვით შემორახრახდება რკინის მანქანა და., თურმე ეს ტრაქტორი ყოფილა. მშვენიერია ტრაქტორის გამოჩენით ბავშვებში გამოწვეული შთაბეჭდილებანი და ტრაქტორისტის საუბარი პიონერებთან.

წიგნში მოთავსებულია აგრეთვე „ხვალ, 25 თებერვალია“, „ბანაკობისათვის მზადება“ და „აგურხანა“. აქ ადგილის სიმცირის გამო ამ მოთხრობების შეფასებას ვერ შევუდგებით.

ყოველ პიონერს ვურჩევთ წაიკითხოს ეს მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო წიგნი.

გ. ლომიძე.




ამხ. ა. სემენიკოვის წიგნი, პიონერრაზმები კოლმეურნეობებში“ არკვევს პიონერორგანიზაციის ამოცანებს და მიზნებს კოლმეურნეობებში. წიგნში მოთავსებულია შემდეგი წერილები: პიონერმოძრაობა და კოლექტივიზაცია, ბავშთა შრომითი აღზრდის ორგანიზაცია, კოლმეურნეობის საწარმოო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება, ბრძოლა კულტურისათვის, ახალი ყოფისათვის, პიონერები სოციალისტურ შეჯიბრებაში, რაზმის გადაჯგუფება და ორგანიზაცია, რაზმი და ორგანიზაციები, რაზმის შინაგანი ორგანიზაცია.

პირველ წერილში ავტორი არკვევს ბავშთა შრომის საკითხებს კოლმეურნეობაში. ამ შემთხვევაში ის მთლიანად გამოდის ამხ. ნ. კრუპსკაიას წერილის „დეტსკი ტრუდ ვ კოლხოზახ“ ძირითადი პრინციპებიდან. ამხ. სემენიკოვი სამართლიანად ამბობს, რომ ბავშთა შრომის შემოფარგვლა, მხოლოდ მწყემსობით და მენახირეობით არ შეიძლება. ბავში კოლმეურნეობაში უნდა ჩავაბათ ყოველგვარ მნიშვნელოვან და კულტურულ საქმიანობაში, უნდა შევუქმნათ ფართო შესაძლებლობა თვითმოქმედების უნარისა და ინიციატივის გამოსამჟღავნებლად—ამით ჩვენ საფუძველს ჩავუყრით ახალ და სოციალისტური ტიპის ადამიანის გამომუშავებას.

„კოლმეურნეობის საწარმოო ცხოვრებაში მონაწილეობა“—არჩევს საწარმოო ცხოვრებაში მონაწილეობის სახეებს, როგორიც არის, მაგ., კოლექტივიზაციის იდეების პროპაგანდა, ბრძოლა კულაკის პროვოკაციის წინააღმდეგ და სხ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თავი, „ბრძოლა კულტურისათვის, ახალი ყოფისათვის“. კოლმეურნეობაში მიმდინარე პერიოდში ყოფაცხოვრების და კულტურული საკითხები ყურადღების ცენტრში დგას. გლეხი, რომელიც შევიდა კოლმეურნეობაში, ჯერ კიდევ არ არის სავსებით დაზღვეული კერძო საკუთრებისადმი მისწრაფებით. ამ ნიადაგზე ვხვდებით სახელმწიფო ქონებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, წამგლეჯაობას და სხვ. ამ ძველი ყოფის ნაშთების ლიკვიდაცია შესაძლებელია სამკითხველოს, რადიოს და საერთოდ პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებით. ამხ. სემენიკოვის აზრით, საჭიროა კოლმეურნეობებთან ბაგების და ბავშთა კომუნების მოწყობა. ეს ბაგები და კომუნები ხელს შეუწყობენ კოლმეურნეობაში ბავშთა აღზრდის საკითხში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

„პიონერები სოციალისტურ შეჯიბრებაში“ იხილავს პიონერორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრის გაშლის და მასში მონაწილეობის საქმეში.

ამხ. სემენიკოვი სწორედ შენიშნავს, რომ არ არის მიზანშეწონილი კოლმეურნე და არაკოლმეურნე ბავშებს შორის მკვეთრი განმასხვავებელ ზღვარის გავლება. ეს გამოიწვევდა ურთიერთშორის მუდმივ შუღლს და ამ საფუძველზე აღმოცენებულ მტრობას. მჭიდრო კავშირი და იდეოლოგიური ზემოქმედება არაკოლმეურნე ბავშებზე—ასეთი უნდა იყოს სოფლის პიონერორგანიზაციების მოქმედების გეზი.

სარეცენზიო წერილში შეუძლებელია ყველა საკითხის გარჩევა, რომელიც წამოყენებულია ამხ. სემენიკოვის წიგნში.

ყველა პიონერი, და მით უმეტეს სოფლის პიონერორგანიზაციები, უნდა გაეცნოს ამ წიგნს.

პიონერი გოგია.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია

მთავლიტი № 1682. სტამბა „კოლექტივი“ შეკვეთა № 3246 ტირაჟი 5500



ფასი 25 კაპ.

ყდა მხატვარ დავით კუთათელაძის